ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2024 წლის 15 აგვისტოს

სხდომის ოქმი №1

ქ. ახალციხე 2024 წელი, 15 აგვისტო

სხდომას ესწრებოდნენ:

ირაკლი ლაზარაშვილი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ნუგზარ თათეშვილი
2. ომარ ჯაყელი
3. მაია გაჩეჩილაძე
4. გიორგი ბუცხრიკიძე
5. მერაბ ბერიძე
6. მაკა ბერიძე
7. შალვა ტაბატაძე
8. ნიკოლოზ ხიზანაძე
9. ციური ლაფაჩი
10. ვასილ კვინცხაძე
11. რომან მაისურაძე
12. მეგი თათეშვილი
13. ნანა იოსელიანი

სხდომას არ ესწრებოდნენ „ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ცირა მესხიშვილი

2. ბელა ავალიშვილი
3. ნონა ონიანი
4. აშოთ კავალერიან
5. გურამი ჯინჭველაძე
6. ბიჭიკო მოდებაძე
7. თამარ კაპანაძე
8. ნინო ხაზალაშვილი
9. ნათია ტაბლიაშვილი
10. ნატალი სისვაძე

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებული პროექტების შეჯამება;
2. სიახლეები საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებასთან დაკავშირებით.
3. დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები და სამომავლო გეგმები;
4. საბჭოს წევრების რეკომენდაციები და ინიციატივები;

ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მერი ირაკლი ლაზარაშვილი უძღვებოდა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა შეხვედრის დასაწყისში ყურადღება გაამახვილა აღნიშნული სათათბირო ორგანოს ფუნქციონირების მნიშვნელობაზე, ასევე საბჭოს შემადგენლობას მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის.

დღის წესრიგის შესაბამისად, შეხვედრაზე იმსჯელეს განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სამომავლო გეგმებზე, ასევე არსებულ პრობლემებსა და მათი მოგვარების გზებზე.

აქცენტი გაკეთდა საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე. როგორც ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა 2024 წელს ჯამში 9 მილიონ ლარამდე ღირებულების სამუშაოები ხორციელდება, მასშტაბურ პროექტებს შორისაა აწყური-თისელის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, რისთვისაც 3 მილიონ ლარამდე თანხა დაიხარჯა. ასევე დასრულებულია ქალაქ ვალეში მაჭარაშვილის ქუჩის რეაბილიტაციაც. აღინიშნა, რომ გზები ეწყობა ისეთ ადგილებში და მონაკვეთებზე, სადაც არასდროს ყოფილა კეთილმოწყობილი გზა, იგება როგორც ასფალტის, ისე ბეტონის საფარი. მერმა ისაუბრა ქალაქ ახალციხეში ხანძთელის და მიმდებარე ქუჩებზე განხორციელებულ საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტზე, ასევე გამსახურდიას ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, სადაც კაპიტალურად შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები, განხორციელდა წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების მოწყობა, რის გამოც, პროექტის დასრულებამ მცირე დროით გადაიწია და გარკვეული სპეკულაციების მიზეზი გახდა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მიმდინარეობს ქალაქ ახალციხეში კულტურის სახლის პროექტირება, იგეგმება 250 მაყურებელზე გათვლილი დარბაზის, 50 კაციანი კინო-დარბაზისა და მედიათეკის მოწყობა. იგეგმება სპორტული სკოლის სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციაც. ხაზი გაესვა იმას, რომ მნიშვნელოვანია, ქალაქში არსებობდეს თანამედროვე სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურა, სადაც მეცადინეობებთან ერთად, შესაძლებელი იქნება მოეწყოს ჩემპიონატები და შეჯიბრებები.

დასრულების ეტაპზეა საცურაო აუზის მშენებლობა, შედეგად კიდევ ერთი გასართობი სივრცე შეემატება ქალაქს. ასევე, იგეგმება სამუსიკო სკოლისათვის ახალი შენობის აშენება, სადაც მოეწყობა საკონცერტო დარბაზი და საკლასო ოთახები, ხოლო, რაც შეეხება არსებულ შენობას, მუნიციპალიტეტის სურვილია მას დაუბრუნდეს პირვანდელი, ორბელიანების სასახლის სახე, სადაც რეაბილიტაციის შემდეგ შესაძლებელი იქნება მოეწყოს მაღალი დონის ხელოვნების ცენტრი, საგამოფენო და კულტურული ღონისძიებებისათვის შესაბამისი სივრცეებით. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერმა მოსწავლე-ახალგაზრდების ხელშეწყობისა და ზარზმის ბავშვთა აკადემიის მხარდაჭერის მიზნით მუნიციპალიტეტის გეგმებზე გაამახვილა ყურადღება. აღნიშნა, რომ გამოიყოფა ფართი, სადაც მომავალში ფუნქციონირებას დაიწყებს მოსამზადებელი ცენტრი და გაძლიერებულად შეისწავლება სხვადასხვა საგნები - მათემატიკა, ფიზიკა, უცხო ენა, ასევე ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენა და სხვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს შორის იყო საბჭოს წევრებისათვის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების შესახებ დეტალური ინფორმაციის გაცნობა. მერმა ისაუბრა არსებულ მარშრუტებზე, მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომ სამგზავრო ტარიფებზე და სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის დაწესებულ შეღავათებზე. აღინიშნა, რომ ამ ეტაპისთვის, 380-ზე მეტ ბენეფიციარს დაურიგდა სამგზავრო ბარათი, ასევე ბარათები დაურიგდებათ უახლოეს ხანში ვეტერანებს, ხოლო სტუდენტები ისარგებლებენ მგზავრობის ღირებულების 50%-იანი ფასდაკლებით, რაც შეეხება მოსწავლეებს, მათთვის მგზავრობა იქნება უფასო. აღინიშნა, ისიც რომ მუნიციპალიტეტი აგრძელებს მუშაობას ელექტრონული ტაბლოების, მგზავრთა მოსაცდელების/ ავტობუსების გაჩერებების მოსაწყობად, რაც საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსს მოითხოვს და შესაბამისად ეტაპობრივად მოხდება მათი განხორციელება.

როგორც ირაკლი ლაზარაშვილმა განაცხადა, მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული მოედნებისა და დასასვენებელი სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მერის განცხადებით, ამ დროისთვის ქალაქ ახალციხეში, აბის დასახლებასა და სოფელ წყრუთში დასრულებულია ახალი სპორტული მოედნების მშენებლობა, ახალი ტიპის საფარით მოეწყობა ქალაქ ახალციხეში, რაბათის უბანში, ასპინძის და 9 აპრილის ქუჩებზე არსებული მოედნები. ასევე რამდენიმე სოფელში იგეგმება სპორტული მინი-მოედნების მოწყობა. რაც შეეხება, ქალაქის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციას, მიმდინარე წელს შესაძლებელია დაიწყოს პროექტირება. მერმა ისაუბრა რუსთაველის ქუჩა №111-ში ახალი სკვერის მშენებლობაზეც, რომლის დასრულების შემდეგ კიდევ ერთი გასართობი და დასასვენებელი სივრცე შეემატება ქალაქს, რითაც ისარგებლებენ სტუდენტი-ახალგაზრდები. საუბარი შეეხო რაბათის უბანში, ყაზბეგის ქუჩაზე არსებული ხიდის რეაბილიტაციის პროექტს, მუნიციპალიტეტის მასშტაბით სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები სარეაბილიტაციო სამუშაოებს, მათ შორის სოფელ ღრელში მიმდინარე სასმელი წყლისა და ქალაქ ვალეში სატუმბი სადგურების რეაბილიტაციის დასრულებულ სამუშაოებს.

მერის განცხადებით, მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით გრძელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაციაც. გარდა ამისა, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის 46-

ვე დასახლებაში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება, პრიორიტეტებს შორის არის შიდა გზები, გარე განათება, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები, სანიაღვრე არხები, სკვერები და სხვა.

თავის მხრივ, „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებმა გამოთქვეს მოსაზრებები და თავისი იდეები და წინადადებები გააცნეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს. ირაკლი ლაზარაშვილმა მათ მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

საბჭოს წევრმა, **ვასილ კვინცხაძემ** რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერში დაზიანებული სკამებისა და სკვერის ინვენტარის განახლების აუცილებლობაზე ისაუბრა.

საბჭოს წევრმა, **გივი ბუცხრიკიძემ** კოსტავას ქუჩაზე არსებული სპორტული მინი მოედნის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, კორპუსში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდების თხოვნა გადასცა მერს. როგორც, ირაკლი ლაზარაშვილმა განაცხადა, აღნიშნული მინი-სტადიონის რეაბილიტაცია უახლოეს ხანში დაიწყება.

საბჭოს წევრმა, **მერაბ ბერიძემ** ყურადღება გაამახვილა პარკებსა და სკვერებში ვანდალურ ფაქტებზე, განსაკუთრებით კი მოზარდების მხრიდან ინვენტარის მიზანმიმართული დაზიანების შემთხვევებზე, რასაც აუცილებელია მოჰყვეს გარკვეული რეაგირება. ასევე დაინტერესდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოპირდაპირე მხარეს არსებული, ყოფილი „კინო-გაქირავების“ შენობის ბედით, რომელიც უნიკალური ნაგებობაა და ამ ეტაპზე კერძო საკუთრებას წარმოადგენს. როგორც მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი რომ მომზადდეს ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმა, რომლის შესაბამისად მოხდება ქალაქის განვითარება და შემდგომი განაშენიანება.

საბჭოს ახალმა წევრმა, **ნანა იოსელიანმა** მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს მადლობა გადაუხადა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობის მიცემისათვის. მან დადებითად შეაფასა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებული პროექტები, ყურადღება გაამახვილა მოსამზადებელი ცენტრის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ აუცილებელია პოპულარიზაცია გაეწიოს საბუნებისმეტყველო საგნებს. ნანა იოსელიანმა, ასევე, ცენტრალურ პარკში ინვენტარის განახლების აუცილებლობაზე და არსებული ინვენტარის მოვლა-პატრონობაზე გაამახვილა ყურადღება, აღნიშნა რომ სამწუხაროდ დაზიანების შემთხვევები ხდება მოზარდების მხრიდან.

საბჭოს წევრმა **ნიკოლოზ ხიზანიშვილმა**, დადებითად შეაფასა ქალაქ ვალეში მიმდინარე და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის, როგორც სასმელი, ისე სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მიმართულებით, აღნიშნა, რომ გასარწყავიანების პრობლემა მოგვარებულია ე.წ. „ბორახჩისა“ და „წისქვილების“ სატუმბი სადგურების რეაბილიტაციის შემდეგ. ასევე, ხაზი გაუსვა ქალაქ ვალეში პროფესიული კოლეჯის ამოქმედებას, რაც ვალესა და მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო. დაინტერესდა დაგეგმილი პროექტებით, ცენტრალურ გზაზე ისაუბრა ტროტუარების მოწყობის საჭიროებაზე, მისი თქმით მოსაწყობია დაახლოებით 800 მეტრი სიგრძის საფეხმავლო ბილიკი და სტალინის ქუჩაზე საყრდენი კედელი.

როგორც, ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, ქალაქ ვალეში გზების რეაბილიტაცია იგეგმება ბარათაშვილისა და თამარ მეფის ქუჩებზე, სტალინის ქუჩაზე კედლის რეაბილიტაციის მიზნით დასრულების ეტაპზეა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, მთლიანად გაკეთდება კედელი,

სანიაღვრე არხი და საფეხმავლო ბილიკი ამავე უბანში, პროფესიული კოლეჯის მიმდებარედ. ასევე, მიმდინარეობს ქალაქ ვალეში, 10 კორპუსის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსების ნახევარზე მეტი რეაბილიტირებული იქნება. როგორც მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, ამ მიმართულებით დიდი პრობლემაა მეორე შახტის დასახლებაშიც და მომავალი წლის გაზაფხულიდან იგეგმება მასშტაბური პროექტის განხორციელება აქ მცხოვრები მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად.

საბჭოს წევრმა, **მაკა ბერიძემ,** დადებითად შეაფასა ქალაქში დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები. აღნიშნა, რომ სწორედ სუფთა, მოწესრიგებული და სასიამოვნო გარემო ახდენს ქალაქის სტუმრებზე დიდ შთაბეჭდილებას, რაც არაერთხელ აღნიშნულა კიდეც. ასევე დადებითად შეაფასა მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა ზარზმის ბავშვთა აკადემიის მიმართ და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის მხრიდან მხარდაჭერის მზაობაც გამოთქვა. მან ასევე, მერს შესთავაზა ქალაქის პოზიტიურ პროცესებში ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა. დაინტერესდა ორბელიანების სასახლის რეკონსტრუქციით და პროექტირებით, აღნიშნა, რომ ეს იქნება უნიკალური სივრცე ქალაქისათვის. მაკა ბერიძემ ასევე მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისას სტუდენტებისთვის დაწესებულ შეღავათზე გაამახვილა ყურადღება.

საბჭოს წევრებმა, **ომარ ჯაფელმა და შალვა ტაბატაძემ** ყურადღება გაამახვილეს მიმდინარე და განხორციელებულ პროექტებზე, ასევე ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებზე. **შალვა ტაბატაძემ** ხაზი გაუსვა მესხეთის სახელმწიფო თეატრის რეაბილიტაციის პროექტს, რომელიც მისი თქმით მართლაც საუკუნის პროექტია და ამასთანავე, აღნიშნა რომ წლებია პრობლემად რჩება აფიშების საკითხი. მან მხარდაჭერა სთხოვა მერს ქალაქის მასშტაბით ელექტრონული აფიშების განთავსებასთან დაკავშირებით. შალვა ტაბატაძემ ისაუბრა ქალაქში ქართული და უცხოენოვანი წარწერების სტანდარტის დარღვევებზე და ასევე, დაინტერესდა რა კეთდება მუნიციპალიტეტში მიუსაფარი ცხოველების პრობლემასთან დაკავშირებით.

როგორც, ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის მშენებლობის პროექტი, არის საკმაოდ მასშტაბული და ძვირადღირებული პროექტი, ამიტომ მისი განხორციელება რამდენიმე მუნიციპალიტეტის ერთობლივი ძალებით უნდა მოხდეს. ამ ეტაპისთვის კი, მუნიციპალიტეტი მიუსაფარი ცხოველების გადაყვანას ახორციელებს გორის ცხოველთა თავშესაფარში, შესაბამისი პროცედურების ჩასატარებლად.

საბჭოს წევრმა, **მაია გაჩეჩილაძემ** შშმ პირთა დღის ცენტრის ბენეფიციარებისთვის ფართის გამოყოფის თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს, მისივე თქმით აღნიშნული პრობლემის გამო ცენტრს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობით, გარკვეული პროექტების განხორციელებაში ხელი ეშლება.

სხდომის დასასრულს მერმა კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ თითოეულ წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის, რომელიც მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენაზე და არსებული პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1 ნუგზარი თათეშვილი _____

2 ცირა მესხიშვილი _____

3 ბელა ავალიშვილი _____

4 ომარი ჯაყელი _____

5 ნონა ონიანი _____

6 აშოთ კავალერიან _____

7 გურამი ჯინჭველაძე _____

8 მაია გაჩეჩილაძე _____

9 ბიჭიკო მოდებაძე _____

10 გიორგი ბუცხრიკიძე _____

11 მერაბი ბერიძე _____

12 მაკა ბერიძე _____

13 შალვა ტაბატაძე _____

14 ნიკოლოზ ხიზანაძე _____

15 ციური ლაფაჩი _____

16 ვასილი კვინცხაძე _____

17 თამარ კაპანაძე _____

18 ნინო ხაზალაშვილი _____

19 რომან მაისურაძე _____

20 ნათია ტაბლიაშვილი _____

21 ნატალი სისვაძე _____

22 მეგი თათეშვილი _____

23 ნანა იოსელიანი _____